



შინაგან საქმეთა სამინისტროს
საკომუნიკაციო სტრატეგია
2019-2021

შესავალი	2
სამინისტროს მიზანი და ღირებულებები	2
საინფორმაციო გარემო	3
ნარატივი	6
საკომუნიკაციო მიზნები	8
საკომუნიკაციო თემები	10
სამიზნე აუდიტორია	12
საკომუნიკაციო არხები	14
უკუკავშირი და მონიტორინგი	18
რეკომენდაცია	18

შესავალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია წარმოადგენს უწყების სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ერთიან ნარატივს, ძირითად მიმართულებებს, სამიზნე აუდიტორიებს, საკომუნიკაციო თემებსა და არხებს.

წინამდებარე დოკუმენტი სრულ თანხვედრაშია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილ პრიორიტეტებთან. დოკუმენტი ეფუძნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზნებსა და ღირებულებებს და წარმოადგენს მათი ეფექტიანი განხორციელების ხელშემწყობ ინსტრუმენტს.

სამინისტროს მიზანი და ღირებულებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევებზე რეაგირების ღონისძიებებს.

სამინისტროს უმთავრესი მიზანია სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება, მოქალაქეთა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა, მათი უფლებების დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვა.

მიზნის მისაღწევად სამინისტრო ახორციელებს სამართალდარღვევათა გამოვლენა-აღკვეთას, გამოძიებასა და ანალიზს, დანაშაულის პრევენციას, სახელმწიფო საზღვრის დაცვას, ხარისხიანი საპოლიციო მომსახურების გაწევას და საზოგადოებასთან მჭიდრო, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სამინისტრო კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით ახორციელებს თავის საქმიანობას, რომელიც ემყარება სამართლიანობის, ეფექტურობის, თანაგრძნობისა და თავდადების ღირებულებებს.

საინფორმაციო გარემო

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა და დანაშაულის პრევენცია ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია საზოგადოებასთან ნდობაზე დამყარებულ აქტიურ კომუნიკაციაზე. ეფექტური კომუნიკაცია, პირველ რიგში, გულისხმობს მოსახლეობისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას. თავისუფალი და მოქნილი საინფორმაციო სივრცე და მედიასაშუალებებთან პროაქტიული თანამშრომლობა ზრდის მოსახლეობისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდების ხარისხს და მათ ჩართულობას მიმდინარე პროცესებში.

საზოგადოებრივ აზრზე, განწყობებსა და ქცევაზე ზეგავლენის მოსახდენად, სამიზნე აუდიტორიების ამოცნობა და შესაბამისი გზავნილების შემუშავება სტრატეგიული კომუნიკაციების პროცესისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

საქართველოს მოსახლეობა ინფორმაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით იღებს. ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროებს წარმოადგენს: ტელევიზია, სოციალური ქსელი, რადიო, ბეჭდური მედია და ინტერნეტ-სააგენტოები. მოსახლეობის 70%-ს აქვს ინტერნეტთან წვდომა¹. ასევე, სტაბილურად იზრდება საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც ინტერნეტი ინფორმაციის მიღების პირველ წყაროს წარმოადგენს.²

ორგანიზაციამ - „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“ (Reporters Without Borders) 2019 წელს გამოაქვეყნა პრესის თავისუფლების ინდექსი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პოზიცია, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა.³ ასევე, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია “FREEDOM HOUSE“-მა 2018 წელს ინტერნეტის თავისუფლების შესახებ გამოქვეყნებულ კვლევაში, საქართველო თავისუფალი ინტერნეტის მქონე ქვეყნად დაასახელა⁴. ანგარიშის თანახმად, საქართველო ინტერნეტის თავისუფლების მიმართულებით კვლავაც ლიდერია რეგიონში.

¹ <http://geostat.ge/>

² <https://caucasusbarometer.org/ge/nm2018ge/INFSOUF1/>

³ https://rsf.org/en/ranking_table

⁴ <https://freedomhouse.org/report/freedom-net/freedom-net-2018/rise-digital-authoritarianism>

ინტერნეტის თავისუფლების ზრდასთან ერთად, იზრდება ყალბი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები, რაც უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებაში დამკვიდრებული ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების, საზოგადოებრივი წესრიგის მსხვერვისა და დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული.

გარდა ზემოთქმულისა, მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, საინფორმაციო არხების მუდმივად მზარდი ტენდენცია აიოლებს სამიზნე აუდიტორიებთან კომუნიკაციის პროცესს, მაგრამ, მეორე მხრივ, მედიის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებით სულ უფრო იზრდება, რაც დეზინფორმაციის, ყალბი ინფორმაციის ტირაჟირების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

აღსანიშნავია, რომ ფართო აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონული მედია. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მწირი ინფორმაცია ხელმისაწვდომი მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე. გარდა ამისა, ზოგიერთ საზღვრისპირა რეგიონში არ არსებობს ქართული დამოუკიდებელი მედია და ინფორმაციის ძირითად წყაროს რუსული ტელე-რადიო საშუალებები წარმოადგენს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ სასაზღვრო პოლიციის სექტორები საკვანძო გეოგრაფიულ ლოკაციებზეა განლაგებული, მესაზღვრეების უმეტესობა ადგილობრივი მოსახლეა და ცხადია, ისინი აზრის არაფორმალურ ლიდერებად გვევლინებიან. აუცილებელია, მათთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდება. ამასთან, კვლავ გამოწვევად რჩება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს და რომლისთვისაც ქართული საინფორმაციო წყაროები თითქმის მიუწვდომელია.

საქართველო დგას ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე, რომელთა ერთ-ერთი მიზანია ქვეყანაში განვითარების შეფერხება, დესტაბილიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების საინფორმაციო ომით დემორალიზება. დეზინფორმაციის გავრცელებითა და დასავლური ღირებულებების მარგინალიზაციით, რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკა ემსახურება საზოგადოებაში ულტრანაციონალიზმის გაღვივებას და ანტიდასავლური მუხტის გაჩენას. ქართული საზოგადოების წინაშე მდგარ გამოწვევასთან ბრძოლაში და პრორუსული ძალების მიერ არჩეული პრაგმატული და ტაქტიკური მიდგომების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მიზანმიმართულია, განხორციელებული სტრუქტურული და შინაარსობრივი რეფორმების

საფუძველზე, საზოგადოების წინაშე წარდგეს როგორც ძლიერი, ქმედითი, გამჭვირვალე, თანამედროვე და სამართლიანი პარტნიორი. ამ პროცესში აღსანიშნავია ჩვენი პარტნიორი ქვეყნების და შესაბამისი სამართალდამცავი უწყებების მიერ გამოცხადებული მხარდაჭერა საერთაშორისო ასპარეზზე. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის პროცესში, ზემოჩამოთვლილი გამოწვევების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებს ღიაობისა და პროაქტიულობის პრინციპს. საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციონირება, როგორც ინფორმაციის მიღების უტყუარი პირველწყარო, ამცირებს არასწორი ინფორმაციის ფართოდ გავრცელების რისკს.

ნარატივი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოადგენს მართლწესრიგის დაცვის, მოქალაქეთა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფის, მათი უფლებების დაცვის უმთავრეს გარანტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება დანაშაულის პრევენცია, ეფექტიანი რეაგირება, ხარისხიანი მომსახურების გაწევა და საზოგადოებასთან მჭიდრო, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ადამიანის უფლებების დაცვა სამინისტროს ფუნდამენტური ღირებულებაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა ემყარება კანონიერების, ჰუმანურობის, სამართლიანობის, საჯაროობის, გამჭვირვალობის, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის პრინციპებს.

ინსტიტუტის სიძლიერის, ეფექტურობის, სანდოობის, პრევენციაზე ორიენტირებულობის ხარისხის გასაზრდელად, სამინისტროში მიმდინარეობს სისტემური განახლების პროცესი. ასევე, აქტიურად ხორციელდება სტრუქტურული და შინაარსობრივი რეფორმები და კანონმდებლობის სრულყოფა.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარება, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება და ტექნოლოგიების დახვეწა შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს. სამინისტრო ორიენტირებულია პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე. საქმიანობის რეაქტიული მიდგომები იცვლება პროაქტიული, საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომით. შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს საკადრო და რესურსულ ოპტიმიზაციას. სისტემაში დასაქმებულებს სოციალური გარანტიები და ვერტიკალური ზრდის საშუალება ეძლევათ.

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციაა. საქართველოს ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს - აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებით. სამინისტრო საკვანძო როლს ასრულებს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხში, ნატოსთან

პრაქტიკული თანამშრომლობის მიმართულებით. 2018 წლის ნატოს ბრიუსელის სამიტის ფარგლებში, ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს სანაპირო დაცვასთან თანამშრომლობის გაძლიერების საკითხი.

საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება, პოლიციელთა მიმართ ნდობისა და პატივისცემის ზრდა მეტწილად დამოკიდებულია საზოგადოებასთან ეფექტურ კომუნიკაციასა და მათთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაზე. მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ აღიქვას მკაფიო კორელაცია საპოლიციო საქმიანობასა და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას შორის. შინაგან საქმეთა სამინისტრო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებასთან მუდმივ კომუნიკაციას, რაც სამინისტროს უფრო ღია და გამჭვირვალე სტრუქტურას გახდის. სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოების ყველა სეგმენტთან და აქტიურ ნაბიჯებს დგამს მათი ინფორმირებისა და მიმდინარე პროცესებში ჩართულობის მიზნით. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები გამოიხატება უწყების მიერ გავრცელებული პრესრელიზების, ჩატარებული ბრიფინგებისა და გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების სახით. ამ მხრივ მიღწეული პროგრესი დასტურდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული გლობალური კონკურენტუნარიანობის 2018 წლის ანგარიშშიც, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში პოლიციის მიმართ ნდობის ხარისხი გაზრდილია.⁵

⁵ <http://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf>

საკომუნიკაციო მიზნები

■ მოსახლეობაში უსაფრთხოების, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დაცულობის განცდის გაძლიერება

- შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე აქტივობების, პროექტების შესახებ საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია;
- ეთნიკურ უმცირესობებთან ეფექტური კომუნიკაციის გზით, მათი ინფორმირებულობის და ჩართულობის ხარისხის ზრდა;
- არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით, რელევანტური და აქტიური კომუნიკაციის დამყარება.

■ შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც ძლიერი, ქმედითი, თანამედროვე და სამართლიანი ინსტიტუციის იმიჯის გაძლიერება

- არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული იმიჯის ფორმირება;
- მედიასა და სამოქალაქო სექტორთან კომუნიკაციის მოდელის შექმნა;
- პარტნიორ ორგანიზაციებსა თუ საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაცია;
- კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირების მექანიზმის შექმნა;
- უკუკავშირის მიღება/ანალიზის და შესაბამისი რეაგირების მექანიზმის შექმნა;
- გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის დამკვიდრება;
- სამინისტროს პოზიციონირება, როგორც ობიექტური ინფორმაციის წყარო და დეზინფორმაციაზე სწრაფი რეაგირების მქონე უწყება.

■ პოლიციელების იმიჯისა და რეპუტაციის გაძლიერება

- საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ხალხთან აქტიური კომუნიკაცია;
- პოლიციელის კარიერის ღირსეულ და სამაგალითო პროფესიად წარმოჩენა;

- პოლიციისა და საზოგადოების თანამშრომლების ეფექტური მაგალითების დემონსტრირება;
- პოლიციელთა გადამზადებისა და წვრთნის პროცესის საზოგადოებისთვის გაცნობა;
- პოლიციელთა სოციალური გარანტიების შესახებ აქტიური კომუნიკაცია;
- ახალგაზრდებთან სწორი კომუნიკაცია უწყებაში ახალი პროფესიონალი კადრების მოზიდვის კუთხით;

■ **სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე რეფორმების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება**

- შემაჯამებელი ანგარიშებისა და პრეზენტაციების წარდგენა მოსახლეობისთვის;
- მარტივად გასაგები ფორმატით ინფორმაციის რეგულარულად მიწოდების უზრუნველყოფა.

■ **მართლწესრიგის დაცვის პროცესში, საზოგადოების როლის და პასუხისმგებლობის წარმოჩენა**

- პოლიციასთან თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის კომუნიკაცია;
- დანაშაულის პრევენციის მიმართულებით აქტიური საზოგადოებრივი კამპანიის წარმოება;
- საზოგადოებასა და სამინისტროს თანამშრომლებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

■ **ნატოსთან თავსებადობის ამაღლების, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან წარმატებული თანამშრომლობის შესახებ კომუნიკაცია**

- ნატოსთან პრაქტიკული თანამშრომლობის (სანაპირო დაცვის) საკითხში სამინისტროს მნიშვნელოვანი როლის წარმოჩენა;
- ევროკავშირისგან აღებული ვალდებულებების შესრულების შედეგების გაცნობა საზოგადოებისთვის;
- ერთობლივი, საერთაშორისო პროექტების/წვრთნების სარგებლის შესახებ კომუნიკაცია;
- საზოგადოების ინფორმირება მაღალი დონის საერთაშორისო ვიზიტებისა და კონფერენციების შესახებ.

საკომუნიკაციო თემები

სისტემური განახლება

» სტრუქტურული რეფორმები

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა;
- კრიმინალური პოლიციის რეფორმა
 - საგამომიებო და ოპერატიული ფუნქციების გამოჯვნა;
 - მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ჩამოყალიბება;
- სასაზღვრო პოლიციის რეფორმა;
- საპატრულო პოლიციის რეფორმის ახალი ეტაპი;
- საგზაო უსაფრთხოების რეფორმა;
- გენერალური ინსპექციის რეფორმა.

» შინაარსობრივი რეფორმები

- საგამომიებო კომპონენტის გაძლიერება;
- ანალიზსა და პრევენციაზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება;
- ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება;
- თანამშრომელთა გადამზადება და პროფესიონალიზმის ამაღლება;
- პოლიციაში მიღების ახალი წესი
 - ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა;

» საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა

-
- » ახალგაზრდების გაერთიანება („თანატოლი“)

- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება;
- საგანმანათლებლო/შემეცნებითი პროექტები;
- » კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ზრდის პროექტები;
- » კრიმინალსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა;
- » ქურდულ მენტალიტეტთან ბრძოლა;
- » ნარკოდანაშაულთან ბრძოლა;
- » ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- » შემთხვევებზე სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა;
- » ტრეფიკინგთან ბრძოლა და ტრეფიკინგის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება;
- » მიგრაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები;
- » ნატოსთან, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან ეფექტური თანამშრომლობა, აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესის და სარგებლის წარმოჩენა;
- » სამოქალაქო ღონისძიებებში ჩართულობა;
- » მნიშვნელოვანი აქტივობები, კამპანიები, ინფრასტრუქტურული განახლება.

სამიზნე აუდიტორია

ძირითადი სამიზნე აუდიტორიები:

შიდაუწყებრივი აუდიტორია:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები;
- სამინისტროს თანამშრომელთა ოჯახის წევრები.

სამინისტროს ხედვა და პოზიციონირება მაქსიმალურად გათავისებულ უნდა ჰქონდეს ყველა თანამშრომელს, რათა ერთიანი პოლიტიკითა და პასუხისმგებლობით ყველა ერთად ემსახურებოდეს მთავარი მიზნის - კანონის უზენაესობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის მიღწევას. შინაგან საქმეთა სამინისტრო ზრუნავს თითოეულ თანამშრომელზე და ესმის მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის პროცესში. მნიშვნელოვანია თანამშრომლებთან ეფექტური შიდა კომუნიკაციის დამყარება - მოტივაციის ამაღლება, გუნდურობის გაძლიერება, პროცესებში საკუთარი წვლილის აღქმის ზრდა, უკუკავშირის მიღების შესაძლებლობის შექმნა. ეფექტური შიდა კომუნიკაციის ჩამოყალიბებისთვის გათვალისწინებულია შიდა კვლევების წარმოება მოლოდინებისა და მოთხოვნების ანალიზის მიზნით, პირდაპირი კომუნიკაცია და ხშირი შეხვედრები თანამშრომლებთან, მენეჯმენტის მხრიდან მხარდაჭერის დაფიქსირება. პროგრამული უზრუნველყოფა სწრაფი და ეფექტური კომუნიკაციისთვის.

უწყებათშორისი აუდიტორია:

- დარგობრივი სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები (პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, იუსტიციის სამინისტრო...);
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები;

გარე აუდიტორია:

- საქართველოს მოსახლეობა;
- სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები;
- არასრულწლოვნები;
- მედიის წარმომადგენლები;
- სამოქალაქო საზოგადოება: კვლევითი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ძირითადი გამავრცელებლები, აზრის ლიდერები - პოლიტიკოსები, დიპლომატები, დარგობრივი ექსპერტები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები;
- რისკ-ჯგუფები;
- ეთნიკური უმცირესობები;
- საზღვრისპირა მოსახლეობა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა;
- საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები.

საერთაშორისო აუდიტორია:

- პარტნიორი ქვეყნების მოსახლეობა;
- ტურისტები;
- დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების (ნატო, ევროკავშირი; Frontex...) წარმომადგენლები;
- საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი: საელჩოების თანამშრომლები, თავდაცვის, პოლიციის ატაშეები.

საკომუნიკაციო არხები

ტელევიზია

მრავალრიცხოვან და ტერიტორიულად გაფანტულ აუდიტორიასთან კომუნიკაციისთვის ტელევიზია მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. საქართველოში ინფორმაციის მიღების პირველწყარო კვლავ ტელევიზიაა: 72%-ისთვის ტელევიზია ინფორმაციის მიღების ძირითადი პირველი წყაროა.⁶

შინაგან საქმეთა სამინისტრო ტელევიზიის საშუალებით ახდენს მთავარი საკომუნიკაციო გზავნილების მიტანას ფართო აუდიტორიამდე. სამინისტრო ტელევიზიებს მყისიერად აწვდის ინფორმაციას ძირითადი სიახლეების შესახებ. წარმატებული თანამშრომლობის შედეგად ხდება მნიშვნელოვანი ბრიფინგების პირდაპირი ეთერით გადაცემა. ამასთან, სამინისტროს წარმომადგენლები ამომწურავად პასუხობენ მედიის შეკითხვებს და მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას განსაზღვრულ ვადებში გასცემენ. იმართება პერიოდული შეხვედრები ჟურნალისტებთან რეფორმების, სიახლეების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

სოციალური მედია

სოციალური მედიის მნიშვნელობა კვლავ ყოველდღიურად იზრდება. ამ ტიპის მედია საშუალებას გვაძლევს, ინფორმაცია მივაწოდოთ კონკრეტულ მიზნობრივ აუდიტორიას მისთვის ყველაზე გასაგები ფორმით. სოციალური მედიის აუდიტორიის დიდ ნაწილს ახალგაზრდობა წარმოადგენს, თუმცა დღითიდღე იზრდება სხვა ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებელთა რაოდენობაც.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სოციალურ მედიას ერთ-ერთ მთავარ და აქტიურ საკომუნიკაციო არხად განიხილავს.

⁶ <https://caucasusbarometer.org/ge/nm2018ge/INFSOUF1/>

სამინისტრო სოციალური მედიის საშუალებით რეფორმებისა და აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას კრეატიული საინფორმაციო კამპანიებითა და ციფრული კონტენტით უზრუნველყოფს. ამასთან, სოციალური მედია განიხილება, როგორც უკუკავშირის მიღებისა და საზოგადოებრივი განწყობის შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ფლობს „Facebook“, „Twitter“, „Youtube“, „Myvideo“ და „LinkedIn“ ანგარიშებს. „Facebook“ საქართველოში ყველაზე პოპულარული სოციალური მედია საშუალებაა (რეგისტრირებულია 13-65+ წლის ასაკის 2 400 000 მომხმარებელი). სამინისტრო „Facebook“-მომხმარებლებს ინფორმაციას ფოტომასალის, გრაფიკული ვიდეოების, ინფოგრაფიკების და სხვა საშუალებების სახით რეგულარულად აწვდის. ასევე, „Facebook“-სივრცეს იყენებს საინფორმაციო კამპანიებისთვის და მომხმარებელთან ორმხრივი კომუნიკაციის დამყარების მიზნით. „Twitter“ აქტიურად იმართება ინგლისურ ენაზე და ძირითადად გათვლილია საერთაშორისო აუდიტორიისათვის სიახლეებისა და გზავნილების მიწოდებაზე.

ინტერნეტსააგენტოები

დღესდღეობით, ინტერნეტგამოცემები ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფი წყაროა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ინტერნეტგამოცემებთან აქტიურად თანამშრომლობს.

ბეჭდვითი მედია და რადიო

ბეჭდური საშუალებები მოსახლეობისთვის, გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცილებით სპეციფიკური და დეტალური ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ბეჭდურ გამოცემებსა და რადიომაუწყებლებთან აქტიურად თანამშრომლობს. გასათვალისწინებელია ბეჭდური მედიის პოპულარულობა რეგიონებში.

საზოგადოებრივი ღონისძიებები, სემინარები და კონფერენციები

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურადაა ჩართული საჯარო ღონისძიებებში - მონაწილეობს კონფერენციებში, დისკუსიებში, სემინარებში. მსგავსი ტიპის საკომუნიკაციო არხებით, სამინისტრო მრავალფეროვან სამიზნე აუდიტორიას მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო შეხვედრები შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიცირებითაც იმართება.

ოფიციალური შეხვედრები

„უწყებათშორისი“

აუცილებელია დარგობრივ სამთავრობო უწყებებთან კოორდინირებული თანამშრომლობა, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისას. უწყებათშორისი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, ასევე, პროექტების დაგეგმვისას. საჭიროა ინფორმაციის პერიოდული გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

„არასამთავრობო სექტორი“

არასამთავრობო სექტორის როლი და გავლენა დღითიდღე იზრდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან. სამინისტრო მზაობას გამოხატავს, მოისმინოს და განიხილოს მათი შეფასებები, კონსულტაცია გაიაროს მათთან მნიშვნელოვანი პროექტების დაგეგმვისას .

„საერთაშორისო საზოგადოება“

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასრულებს ევროკავშირისგან მიღებულ ვალდებულებებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატო-საქართველოს პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარების პროცესში, რისი წარმოჩენაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე.

სამინისტრო აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან. გამოცდილების გაზიარების მიზნით იმართება შეხვედრები, წარმატებული კომუნიკაციის შედეგად. იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი პროექტები. სამინისტრო თანამშრომლობს დიპლომატიურ კორპუსთან და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ორგანიზებით აწყობს საინფორმაციო შეხვედრებსა და წარადგენს პერიოდულ ანგარიშებს.

ოფიციალური ვებგვერდი - www.police.ge

სამინისტრო ფლობს აქტიურ ვებგვერდს, რომლითაც მომხარებელს რეგულარულად აწვდის სიახლეებს. აღნიშნულ ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საჯარო ინფორმაცია და საკონტაქტო მონაცემები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღია მონაცემთა ეროვნულ კატალოგს ხელმძღვანელობს. სამინისტრო იღებს ვალდებულებას, შექმნას სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცედურების, ვადებისა და პასუხისმგებელი ორგანოების ერთიანი კონსოლიდირებული დოკუმენტი.

სამინისტრო უზრუნველყოფს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის განსაზღვრულ ვადებში დროულ მიწოდებას. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ფორმა განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

უკუკავშირი და მონიტორინგი

კომუნიკაციის ეფექტურად განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი და გარემოს ანალიზი.

დაგეგმილი ნაბიჯების შედეგიანობა პერიოდულად უნდა შეფასდეს, რათა დინამიკურ პროცესებში სტრატეგიის რომელიმე მიმართულებამ არ დაკარგოს აქტუალობა და რელევანტურობა.

უკუკავშირის მიღებისთვის მზაობა წარმოჩენილია სხვადასხვა მექანიზმით. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ერთეულებს დაუკავშირდნენ ელექტრონულ ფოსტაზე, ცხელ ხაზზე, „Facebook“-გვერდზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულია წერილის გასაგზავნი სპეციალური საკონტაქტო ველი, შექმნილია ერთიანი საკონტაქტო ბაზა, რომელიც გამოქვეყნდება ვებგვერდზე და მოქალაქეებს მარტივად შეეძლება თითოეულ სისპსა თუ დანაყოფს მათთვის მოსახერხებელი ფორმით (ელ-ფოსტა, სოციალური მედია, ცხელი ხაზი და ა.შ) დაუკავშირდნენ.

გარდა პირდაპირი კომუნიკაციის დამყარებისა, გარემოს ანალიზი და საზოგადოების განწყობის შეფასება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით გამოთქმული უკუკავშირის გაცნობით არის შესაძლებელი.

უკუკავშირის მიღების მნიშვნელოვან მექანიზმს შიდა და გარე კვლევები წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მზადაა, გაითვალისწინოს მოსახლეობის აზრი და დაგეგმილ პროცესებში შესაბამისი კორექტირება შეიტანოს.

რეკომენდაცია

საკომუნიკაციო სტრატეგია გარემოს ანალიზს, საზოგადოების მოთხოვნასა და არსებულ გამოწვევებს ემყარება. გარემოს დინამიკურობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკომუნიკაციო სტრატეგიის გადახედვა ყოველწლიურად.